

2017 -2018 წლის აქტივობები

2017 წლის განმავლობაში სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ განხორციელდა 8 გაცნობითი ვიზიტი სკოლებიდან. მათ შორის, თბილისის 6 საჯარო სკოლა და 2 სკოლა რეგიონებიდან. სკოლების ვიზიტები კოლეჯში წლის ნებისმიერ დროს იგეგმება. სკოლის მოსწავლეები ეცნობიან კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს, მათ ეძლევათ საშუალება გარკვეული სპეციალობები თავად მოსინჯონ.

2017 წლის განმავლობაში კოლეჯი მიწვეული იყო კერძო თუ საჯარო სექტორის კომპანიების მიერ გამართულ დასაქმების ფორუმზე. როგორცაა: GWP “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“, Job fest, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო. დასაქმების ფორუმებზე აქტიურად იყვნენ ჩართული კოლეჯის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

2017 წლის 12 იანვარს „მეწარმეობის კლუბის“ წევრებს სერთიფიკატები გადაეცათ.

სამინისტროს კონტრაქტორმა ორგანიზაციამ „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“ კოლეჯში შექმნა „მეწარმეობის კლუბები“. „მეწარმეობის კლუბის“ ფორმირება სასწავლო პროცესისთვის ექსტრაკურსული სასწავლო აქტივობის დამატებაა, იმისათვის, რომ სტუდენტებმა და მოსწავლეებმა რეალურად გამოსცადონ ბიზნეს იდეის ჩამოყალიბების, კომპანიის დაარსების, საქმიანობის წამოწყების, აწყობის, მართვის და ლიკვიდაციის პროცესი. ექსტრაკურსული აქტივობები განხორციელდა შესაბამისი გამოცდილების მქონე კონსულტანტის ფასილიტაციით. სასწავლებელში აქტივობაში ჩართული იყო პროფესიული განათლების ერთი მასწავლებელი. სტუდენტები იძენენ კომპეტენციას და მომავალში შესძლებენ მსგავსი ექსტრაკურსული აქტივობების დამოუკიდებელ განხორციელებას. პროექტის ფარგლებში კოლეჯში ჩამოყალიბდა ორი მეწარმეობის კლუბი.

2017 წლის იანვარი, „Worldskills Georgia“

კოლეჯმა უმასპინძლა „Worldskills Georgia“-ს მესამე ეროვნული შეჯიბრს პროფესიებში: გრაფიკული დიზაინერი და ვებდიზაინერი. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები, მათ შორის, ჩვენი კოლეჯის „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის“, „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი)“ და „ვებპროგრამისტის“ სტუდენტები.

2017 წლის 19 და 20 იანვარი, განათლების საერთაშორისო გამოფენა

კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო განათლების საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც ექსპოზორჯიაში გაიმართა. დამთვალიერებლებს შეეძლოთ გაცნობოდნენ კოლეჯის პროგრამებსა და სტუდენტების მიერ შექმნილ სხვადასხვა ნამუშევრებს.

2017 წლის 25 მარტი, რა? სად? როდის?

კოლეჯში გლდანის რაიონის გამგეობის მხარდაჭერით გაიმართა ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?", რომელშიც რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

2017 წლის 28 მარტი, რა? სად? როდის?

2017 წლის 28 მარტს კოლეჯში გაიმართა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, სადაც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის სტუდენტებმა და პედაგოგებმა.

2017 წლის აპრილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით და მხარდაჭერით მოეწყო ინოვაციური ტექნოლოგიების იდეათა ჰაკათონი, სადაც კოლეჯი წარმოდგენილი იყო 2 რეგისტრირებული გუნდით: „ტანგრამი“ და „ბენდი“.

2017 წლის 6 აპრილი, ღია კარის დღე

კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულთათვის გაიმართა ღია დღე. შეხვედრაზე აპლიკანტებს მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიული ტესტირებისა და ჩარიცხვის შემდგომი პროცედურების, დაფინანსების მოპოვებისა და სხვა საინტერესო დეტალების შესახებ. ასევე გაეცნენ კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს, ინფრასტრუქტურას, პროფესიული განათლების სფეროში

მიმდინარე სიახლეებს და სხვა. სტუმრებს საშუალება ქონდათ გაცნობოდნენ პროფესიული ტესტების ნიმუშებს, ტესტირების პირობებსა და მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

2017 წლის 29 აპრილს, მძიმე ტექნიკის ჩემპიონატი

შპს „ელიტ მოტორსი“ ინიციატივით გაიმართა მძიმე სამშენებლო ტექნიკის ჩემპიონატი. მძიმე ტექნიკის ოპერატორებმა სხვადასხვა სირთულის დავალებები შეასრულეს და გამარჯვებულებმა ესპანეთში საგზური მოიპოვეს. მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორთა ჩემპიონატში კოლეჯის სტუდენტმა - ამირან კვიციანიძემ მიიღო მონაწილეობა.

2017 წლის 17 მაისი, „სოლიდარობის ქსელი - მშრომელთა ცენტრი“

„სოლიდარობის ქსელი - მშრომელთა ცენტრმა“ კოლეჯში სამუშაო შეხვედრა გამართა. სემინარში აქტიური მონაწილეობა 40-მდე სტუდენტმა მიიღო. სამუშაო შეხვედრა რამდენიმე კომპონენტისგან შედგებოდა და მოიცავდა. როგორც პრეზენტაციას, ასევე სიმულაციურ თამაშს: "შრომითი დავა". სტუდენტებს ასევე შესაძებლობა ჰქონდათ, გაემართათ თემატური დისკუსიები. სემინარის მიზანი იყო სტუდენტებისთვის, რომლებიც მომავალში გახდებიან დასაქმებულები, შრომის კოდექსსა და კანონის პრაქტიკულ გამოყენებაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა. ასევე, მათთვის კოლექტიური ბრძოლის სხვადასხვა გზების გაცნობა.

2017 წლის 16 ივნისი, „კარიერული განვითარება“

იუსტიციის სამინისტროს სსიპ - „დანაშაულის პრევენციის ცენტრმა“ პროექტის - „კარიერული განვითარების“ - შემაჯავებელი შეხვედრა გამართა. მასში მედიაციის სახლის 30 ბენეფიციარი მონაწილეობდა. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და წარმატებული კარიერის დაგეგმვა. შეხვედრაზე მიწვეული იყო კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელმაც ბენეფიციარებს გააცნო კოლეჯის პროგრამები და სწავლის შესაძლებლობები.

2017 წლის ივლისი, მინი-ფეხბურთი

კოლეჯში გაიმართა ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში, კოლეჯის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებისგან შემდგარი გუნდები იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორის, ჩართული იყვნენ პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები

2017 წლის ივლისი, პრინტების კონკურსი

„საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“-ის ორგანიზებით გაიმართა პრინტების კონკურსი: "სტუდენტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის". კონკურსის მთავარი მესიჯი იყო: „საზოგადოება იმსახურებს სოციალურად პასუხისმგებელ ბიზნესს“. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერისა“ და „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის“ (გენერალისტი) სტუდენტებმა.

2017 წლის 11 ოქტომბერი, საუბრები პროფესიულ განათლებასა და დასაქმებაზე“

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის ფარგლებში, კოლეჯში „საუბრები პროფესიულ განათლებასა და დასაქმებაზე“ გაიმართა, რომელსაც საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, „თეგეტა მოტორსი“-სა და „m2 უძრავ ქონებას“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ სკოლის მოსწავლეები და პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც პროფესიულ განათლებაში მიმდინარე სიახლეების, დასაქმების შესაძლებლობებისა და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს. ასევე გაეცნენ კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს.

2017 წლის 13 ოქტომბერი, ღია კარის დღე

კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულთათვის გაიმართა ღია კარის დღე. შეხვედრაზე აპლიკანტებს მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიული ტესტირებისა და ჩარიცხვის შემდგომი პროცედურების, დაფინანსების მოპოვებისა და სხვა საინტერესო დეტალების შესახებ. ასევე გაეცნენ კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს, ინფრასტრუქტურას, პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს და სხვა. სტუმრებს საშუალება ქონდათ გაცნობოდნენ პროფესიული ტესტების ნიმუშებს, ტესტირების პირობებსა და მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

2018 წლის 24 იანვარი, კომპანია BLACK SEA GROUP

კოლეჯში გაიმართა კომპანია “BLACK SEA GROUP”-ის ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ „მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორის“ სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

2018 წლის 29 იანვარი, კომპანია სუპერლაინსის პრეზენტაცია (მაიკაპრინტი)

კოლეჯში გაიმართა კომპანია სუპერლაინსის ("maikaprint.ge")-ს ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტისა“ და „ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების“ სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

2018 წლის 9 თებერვალი, რა? სად? როდის?

კოლეჯში გაიმართა ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?" ზამთრის სერია, რომელშიც კოლეჯის სტუდენტებისგან შემდგარი 11 გუნდი იღებდა მონაწილეობას.

2018 წლის 14 თებერვალი, კომპანია „ნიკორას“ პრეზენტაცია

გაიმართა კომპანია „ნიკორა“-ს ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, მათ შორის „მოლარე (ბანკის და ა.შ)“, „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, „მოლარე“, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“ და „ბუღალტრი“.

2018 წლის 2 მარტი, ჩემპიონატი მკლავჭიდში

კოლეჯში მკლავჭიდში შიდა ჩემპიონატი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის სტუდენტებმა ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე.

2018 წლის 2 აპრილს, საინფორმაციო შეხვედრა - ტრეფიკინგი

სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებზე: რას გულისხმობს ტრეფიკინგი? ვინ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი? რას სთავაზობს სახელმწიფო ფონდი ტრეფიკინგის მსხვერპლს? საინფორმაციო შეხვედრას დაესწრნენ გლდანის კოლეჯის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები. ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხები ძალიან საინტერესო აღმოჩნდა კოლეჯის სტუდენტებისთვის. სახელმწიფო დახმარების ფონდსა და კოლეჯს შორის გაგრძელდება ურთიერთთანამშრომლობა.

2018 წლის 3 აპრილი, ჭადრაკის და შაშის ჩემპიონატი კოლეჯში

2018 წლის 3 აპრილს კოლეჯში ჩატარდა შიდა ტურნირი ჭადრაკში და შაშში. ჭადრაკი სპორტის ისეთი სპეციფიკური სახეობაა, რომლის თამაში არ არის დაკავშირებული ასაკობრივ ზღვართან, სქესთან და ფაქტობრივად, არც მოთამაშის ფიზიკურ შესაძლებლობებთან, ამიტომ ასპარეზობაში პროფესიული სტუდენტები და პედაგოგები აქტიურად მონაწილეობდნენ. ჭადრაკის ტურნირში პირველ-მეორე ადგილები საკმაოდ დამაბულ მატჩში კოლეჯის პედაგოგმა ტატო კვიციანიძემ და სტუდენტმა ალექსანდრე ჯანჯალაშვილმა გაინაწილეს. შაშის ტურნირში პირველ-მეორე ადგილები სტუდენტებმა სერგო პაპიაშვილმა და გიორგი ხაჯალიამ გაინაწილეს. რაც შეეხებათ დანარჩენ მონაწილეებს, მაყურებელმა ისინი უხვი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა. მსგავსი ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში შემდეგში სკოლებში სისტემატიურად ტარდება, რაც სტუდენტებში ლოგიკური აზროვნებისა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების განმტკიცებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

2018 წლის 19 აპრილი, პროფესიული განათლების ფესტივალი

გლდანის მესამე მიკრო რაიონის სკვერში გაიმართა კოლეჯის ნამუშევრების გამოფენა, სადაც მოსახლეობას და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ პროგრამებსა და კოლეჯის სტუდენტების მერ შექმნილ ნამუშევრებს.

2018 წლის 27 აპრილი, მიგრაციის ცენტრის საინფორმაციო შეხვედრა

კოლეჯმა მოიწვია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), რომელმაც 2018 წლის 27 აპრილს კოლეჯის სტუდენტებისთვის ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა სათაურით - „ინფორმირებული მიგრაცია - უსაზღვრო შესაძლებლობები“. მომხსენებელი გახლდათ მარიამ თოქმაზიშვილი - მიგრანტთა რესურს-ცენტრის კოორდინატორი. IOM, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „საქართველოში საზღვრის და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა“. პროექტის ერთ-ერთი მიზანია ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო, კანონიერი მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც მოიცავს ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შენარჩუნების მნიშვნელობაზე. აღნიშნული შეხვედრის თემატიკა ძალიან საინტერესო და აქტუალური აღმოჩნდა სტუდენტებისთვის, ისინი აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში და სხვადასხვა აქტივობებში, შესაბამისად, შეხვედრამ ნაყოფიერად ჩაიარა. კოლეჯი და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) განაგრძობენ ურთიერთთანამშრომლობას და მომდევნო შეხვედრა იგეგმება საგაზაფხულო მიღების სტუდენტებისთვის.

2018 წლის 1 მაისი, „თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონი“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ, მომღერალმა ზურაბ ხაჩიძემ და მამა დავით აფციაურმა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, გლდანის რაიონში მდებარე სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარეს საუბარი თამბაქოს მავნებლობაზე. შეხვედრა გაიმართა დიალოგის რეჟიმში.

2018 წლის 5 მაისი, მძიმე ტექნიკის ჩემპიონატი

ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის წევრი კომპანია „ელიტ მოტორს“-მა, რომელიც Volvo Construction Equipment-ის ოფიციალური დილერია საქართველოში, ჩაატარა მძიმე ტექნიკის ოპერატორთა შეჯიბრი. შეჯიბრი გაიმართა კომპანია „ელიტ მოტორსის“ ტერიტორიაზე. წელს, 20 წლის თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო შეჯიბრებები მთელი ევროპის მასშტაბით იწყება და შემოდგომაზე გრანდიოზული ფინალით, გერმანიაში დასრულდება. მძიმე ტექნიკის ოპერატორებმა სხვადასხვა სირთულის დავალებები შეასრულეს და გამარჯვებულებმა გერმანიაში საგზური მოიპოვეს. მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორთა ჩემპიონატში კოლეჯის კურსდამთავრებულებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა და პრიზებიც დაიმსახურეს.